

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

შპს "გოლდგაზი"-ს (ს/კ 445410163, რეგისტრირებული: ბათუმი,
ბაგრატიონის ქ. №131) მინდობილი პირი: პაატა შარაშიძე

გაცნობებთ, რომ შპს "გოლდგაზი" ს/კ 445410163, რეგისტრირებულია მისამართზე: ქ.ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №131-ში, ამავე მისამართზე შპს-ს მფლობელობის მიწის ნაკვეთში (ს/კ 05.26.01.034) განთავსებულია არსებული ავტოგასამართი კომპლექსი. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს აღნიშნული ავტოგასამართი კომპლექსის რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით რომ არსებული ნაკვეთის საზღვრები შეიცვალა და დაკორექტირდა. წარმოგიდგინებ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

აღნიშნული ავტოგასამართი კომპლექსი ფუნქციონირებს 2012 წლიდან. ის განთავსებულია ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ინტენსიურად განაშენიანებულ უბანში (საზოგაგოებრივ-საქმიან ზონაში სსზ-2), ქალაქ ბათუმის ერთ ერთ ინტენსიურ მოძრავ ქუჩის პირზე გამომავალ ნაკვეთში. რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს არსებული მიწისზედა 14 ერთეული გათხევადებული აირის რეზერვუარების აღებას. რეკონსტრუქციის შედეგად, მათ ნაცვლად მოეწყობა მხოლოდ ორი - 5 კუბ.მ. მოცულობის გათხევადებული აირის მიწისქვეშა რეზერვუარი. გაუქმდება კომპლექსში შემავალი ბუნებრივი აირის მიღება-შენახვისა და გაცემის სისტემა (საკომპრესორო, მარიგებელი სვეტები და გზას მხარეს არსებული რკინაბეტონის კედელი). მათ ნაცვლად მოეწყობა ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი) მიღება-შენახვისა და გაცემის სისტემა. ავზები განთავსდება სარკოვავის ტიპის მიწისქვეშა საცავში, სადაც შესაბამისად განთავსდება: ბენზინის ორი - 20 კუბ.მ. მოცულობის ავზი (რეგულარი და პრემიუმი); დიზელის საწვავის ერთი - 50 კუბ.მ. მოცულობის ავზი. ნავთობპროდუქტების გაცემის სვეტები განთავსდება არსებულ სკრინინგის აირის გასაცემი სვეტების ნაცვლად. ამავდროულად აღნიშნული ცვლილების განხორციელებით მომეტებული საფრთხის შემცველი პროდუქტი, ჩანაცვლდება შედარებით ნაკლები საფრთხის შემცველი პროდუქტით. კომპლექსში საშუალოდ კავალირისწინებულია ბენზინის - 540 კუბ.მ., დიზელის საწვავის - 360 კუბ.მ. და განთავსებული აირის 120 ტ. წლიური რეალიზაცია.



რეკონსტრუქცია ჩატარდება არსებულ საოპერატორო საოფისე შენობას, განახევრდება მისი მოცულობა (დამოკლდა 5,0 მ-ით); შენობაში გათვალისწინებულია სანკვანძი პერსონალისა და მგზავრებისათვის, რომელიც ჩართულია ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში. ობიექტის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემა უზრუნველყოფილია ქალაქის საერთო ქსელიდან. ნაკვეთის რელიეფი მარტივი ბრტყელი ზედაპირისაა, ის მთლიანად მოპირკეთებულია ბეტონის საფარით. ღობის გასწვრივ არსებული გაზონი შემოფარგლულია შესაბამისი ბორდიურებით. ტერიტორიიდან ნალექების წყალშემკრები სისტემა ორგანიზებულია ისე, რომ როგორც წვიმის წყლები და შემთხვევით დაღვრილი სითხე მიედინება ლოკალურ წყალშემკრებ სისტემაში და ხვდება სალექარში. მიმდებარე ტერიტორიაზე არ მოიპოვება ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე რაიმე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. მიმდებარე გზები და ნაკვეთები უზრუნველყოფილია სანიაღვრე სისტემით.

საწვავის ჩატვირთვა ხდება ავტოცისტერნის მეშვეობით საწვავის მისაღებ მოედანზე, საიდანაც საწვავი ნაწილდება მიწისქვეშა მილებით შესაბამის ავზებში. ნაკვეთზე განთავსებულია მეხამრიდი. დამიწებით უზრუნველყოფილია ყველა ავზი, მარიგებელი სვეტები და ელექტროკარადები. საწვავის მიღების მოედანზე, საწვავის უსაფრთხოდ მიღებისათვის გათვალისწინებულია ავტოცისტერნის დამიწება. ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის პროცესში, პერიოდულად ხდება მავნე აირების გაფრქვევა ატმოსფეროში - ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების სახით, რაც ძირითადად ნავთობპროდუქტების ავზებში ჩატვირთვის პროცესში გამოიყოფა, აღნიშნულის გათვალისწინებით ყველა ავზი და გაცემის სვეტი უზრუნველყოფილია (მილი $D=5$ სმ.; სიმაღლით -7,0 მ) სასუნთქი სარქველებით.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების დროს წარმოშობილი ზედმეტი გრუნტი გატანილი იქნება საქალაო ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ გამოყოფილ შესაბამის ტერიტორიაზე.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე სამეზობლო ნაკვეთების გამყოფი საზღვრის გასწვრივ გაზონში დარგულია ათი ძირი ხე. რეკონსტრუქციის შედაგად არ იჭრება არცერთი ხე.

ავტოგასამართი კომპლექსი თავისი სპეციფიკით არ ითვალისწინებს ხმაურის გამომწვევი დანადგარების გამოყენებას. ასევე კომპლექსის საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და

მდებარეობიდან გამომდინარე ავტოგასამართის ექსპლუატაციამ არ შეიძლება გამოიწვიოს რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება.

ავტოგასამართ კომპლექსზე ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რაც არ იწვევს დემოგრაფიულ ცვლილებებს. აღნიშნული უბნის განვითარება მოხდა უახლოესი 15-20 წლის პერიოდში. ის წარმოადგენდა საწარმოო ზონას, სადაც გაყვანილი იქნა ქალაქის სასიცოცხლო მნიშვნელობის მაგისტრალები და ჩიხური უბანი გამოცოცხლდა. ქალაქის ეს უბანი გასული საუკუნის 30-იან წლებში განაშენიანდა სხვადასხვა საწარმოო შენობა-ნაგებობებით. ტერიტორია არ წარმოადგენს კულტურული არქეოლოგიური მემკვიდრეობისთვის კუთხით საინტერესო ტერიტორიას. ავტოგასამართი კომპლექსი 2012 წლიდან აქტიურად არის ჩაბმული ქალაქის სოციალურეკონომიკურ ფერხულში და წარმატებით აგრძელებს თავის საქმიანობას.

ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო და სხვა სახის სამშენებლო ნარჩენების (სახეობის მიხედვით დახარისხებული სახით) გატანა ხდება ორგანიზებულად ქალაქ ბათუმის დასუფთავების სამსახურის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რეკონსტრუქციის პერიოდში არ იქნება გამოყენებული რაიმე სახის ბუნებრივი რესურსი, მხოლოდ მოსალოდნელია უმნიშვნელო სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. კომპლექსის ფუნქციონირების პროცესში, უმნიშვნელო რაოდენობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გარდა მოსალოდნელია, სხვადასხვა სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა). მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე, განხორციელდება მოქმედი კანონმდების მოთხოვნების სრული დაცვით.

შესაძლო ავარიულ სიტუაციაში დაღვრილი ნავთობპროდუქტი, ტერიტორიაზე მოწყობილი არხების მეშვეობით, მოხვდება ნავთობდამჭერ ავზში, რითაც აცილებული იქნება მისი გარემოში მოხვედრა. ნავთობდამჭერში შეგროვებული პროდუქტი იქნება ამოღებული, ხოლო დალექილი შლამი - ამოწმენდილი და განთავსებული სპეციალურ კონტეინერში, მისი შემდგომი უტილიზაციის მიზნით, შესაბამისი ნებართვის მქონე სპეციალიზირებულ ორგანიზაციაზე გადასაცემად.

შპს "გოლდგაზი"-ს მინდობილი პირი:

სერგო ჯიშ

5 74 20 3939

პაატა შარაშიძე

სერგო ჯიშ